# შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N359/02/02-1

(სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" და შპს" ლუკოილ ჯორჯია"-ს შორის 2013 წლის 30 დეკემბრის გაფორმებულ N359/02/02 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

(CMR130359687)

ქ.თბილისი 19დეკემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის პირველი მოადგილეს გიორგი შალუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ლუკოილ ჯორჯია" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ზაზა ქათამაძის სახით, მხარეთა შორის 2013 წლის 30 დეკემბრის გაფორმებულ N359/02/02 გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად და სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომლის დავით ჭიჭინაძეს 2014 წლის 18 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათის, გათვალისწინებით შევთანხმდით შემდეგზე:

სააგენტოსა და შპს "ლუკოილ ჯორჯია"-ს შორის 2013 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ #359/02/2 ხელშეკრულებას (კონსოლიდირებული ტენდერი N° CON140000002) ამოეწურა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საორიენტაციო თანხა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული საწვავის ლიმიტის თანახმად, დღის წესრიგში დადგა საწვავის საორიენტაციო რაოდენობის გაზრდა 2000,00 ლიტრით, ხოლო საერთო საორიენტაციო ღირებულების 14800 (თოთხმეტი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

1. შევიდეს ცვლილება, მხარეთა შორის 2013 წლის 30 დეკემბრის გაფორმებულ N359/02/02 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (კონსოლიდერებული ტენდერის № CON140000002 ) ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტში, მითითებულ საორიენტაციო ღირებულებას 106200 (ასექვსი ათას ორასი ლარს) დაემატოს 14800 (ცამეტი ათას რვაასი) ლარი და იგი საორიენტაციოთ განისაზღვროს 121000 (ასოცდაერთი ათასი) ლარით.
2. .განხორციელდეს ცვლილება მხარეთა შორის 2013 წლის 30 დეკემბრის გაფორმებულ N359/02/02 ხელშეკრულებაში დანართი #1 მითითებულ ბენზინ საორიენტაციო ლიმიტს 60000 (სამოცი ათასი) ლიტრს დაემატოს 2000(ორი ათასი) ლიტრი და ბენზინის ლიმიტი საორიენტაციოთ განისაზღვროს 62000 (სამოცდაორი ათასი) ლიტრით .
3. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები და პუნქტები დარჩეს უცვლელად.
4. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ცვლილებები ძალაში შედის მარჯვენა კუთხეში მითითებული თარიღიდან.
5. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და წარმოადგენს 2013 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული №359/02/02 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს"
დირექტორის პირველი მოადგილე
გიორგი შალუტაშვილი

---

(ხელმოწერა, ბეჭედი)

შპს „ლუკოილ ჯორჯია"
დირექტორი
ზაზა ქათამაძე

---

(ხელმოწერა, ბეჭედი)